დანართი №2

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“
დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
(ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა მეგრელიძე
წევრები:
სალომე გოგიაშვილი
ნინო გორგოშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლის მე-12 პუნქტის, 51-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N790388 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), სალომე გოგიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი) (ქ. ბათუმი, ქ. ფოთი); ირმა ღარიბაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - "შედუღება“, "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" (ქ. ბათუმი, ქ. ფოთი); ზაზა პაპიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "ელექტროობა" (ქ. ბათუმი, ქ. ფოთი); ნინო გორგოშაძე - დარგის ექსპერტი (წევრი)- "გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია", "გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" (ქ. ბათუმი, ქ. ფოთი) დაგვევალა მიმდინარე წლის 14,15,16,17 ივლისს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, მის.: ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N53 და ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №24. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკადემიის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, აკადემიაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. 2026 წლის 9 ივლისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის აკადემიის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 14-17 ივლისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა აკადემიის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი აკადემიის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯგუფის წევრებთან ერთად დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას იზიარებს.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება 2 0 2 6 წლ ის 2 9 მაისის № 0 7 - 5 2 (ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი წმ. გიორგის N24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კორპორაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის ND 2-O06-01 (დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-5) მიხედვით, აკადემია ახორციელებს შრომის ბაზარზე ორინტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიის მისიაა:

- ✓ შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია;
- ✓ უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;
- ✓ იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება;
- ✓ გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით;

აკადემიამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი, რომლის მიხედვითაც, მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებისთვის კვალიფიცირებული გემის სამანქანე განყოფილების სპეციალისტი კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროფესიაა. საზღვაო ინდუსტრია წარმოუდგენელია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროცესების გარეშე.

დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მომზადება საზღვაო აკადემიის პრიორიტეტია და გაწერილია საზღვაო აკადემიის მისიით. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმაც ამ პრიორიტეტებზეა აგებული, რომელსაც საფუძვლად უდევს საზღვაო აკადემიის პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების სწავლის, პროფესიული უნარების ათვისებისა და დასაქმების მაჩვენებელი.
დაწესებულებამ შეისწავლა პროგრამის განხორციელენის საჭიროება რეგიონში. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნა, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის - საწარმოო ბაზარზე, ტექნოლოგიური განვითარებაზე, დასაქმების სტაბილურობაზე, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობაზე. შეისწავლა ქვეყანაში განხორციელებული კვლევები (დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა, შრომის ბაზრის კვლევა 2024), საიდანაც დგინდება სამანქანე განყოფილების სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა.
აკადემია წლებია ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“. მიღებული გამოცდილება, ინფრასტრუქტურა, საწარმოებთან დამყარებული პარტნიორობა და ბაზრის მოთხოვნა გახდა საფუძველი პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ დამატების.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით. აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესს განსაზღვრავს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი (ND 2-F30)“. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში. დაშვების წინაპირობაა:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა;
- ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა (ფორმა №086 ან №100), რომელიც დადგენილი წესით გაცემულია შერჩეული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია აკადემიის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანება 2026 წლის 29 მაისის №07-52 (ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით). პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი ND 2-O19-01“ დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 28 მაისის № 01-109 ბრძანებით, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ყოველ მიღებაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა არსებული საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, ამტკიცებს აკადემიის რექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, პროფესიული ცენტრის უფროსისა და ფოთის ფილიალის უფროსის წარდგინების საფუძველზე; სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში https://evet.emis.ge/ მონაცემთა ასახვაზე პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირი.მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);
- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით დადასტურებული) და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები; კვოტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ "გემის საგემბანე განყოფილების ექსპლოატაციის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აკადემიის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ "გემის საგემბანე განყოფილების ექსპლოატაციის" პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული 50 პროფესიული წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას, ყოველწლიურად 25 პროფესიული სტუდენტი.

A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აქვს 1 A გარემოსა, 1 AC გარემოს (25 პროფესიული სტუდენტისთვის) და C გარემოს - ხანძართან ბრძოლის ტრენაჟორი, აუზი, რომელიც გამოიყენება აკადემიის ბათუმის მისამართზე არსებული ინფრასტურქტურა, და ელემენტარული სამედიცინო დახმარების აუდიტორია ფოთის მისამართზე არსებული შესაბამისად აღჭურვილი ოთახებით. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამისათვის იყენებს ერთ ცვლას. და მთლიანად მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განაწილებულია ორ მიღებაზე 25-25 პროფესიული სტუდენტი.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიას და მოიცავს კომპიუტერებს, პრინტერს, სასწავლო მერხებს, სკამებსა და პროექტორს, რომლისთვისაც დაწესებულებას სულ აქვს 2 საკლასო ოთახი სულ 50 კომპიუტერითა და ადგილით. კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის გამოიყენება 2 B ტიპის სასწავლო გარემო.

C ტიპის სასწავლო გარემო გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისად და აღჭურვილია მოდულებში განსაზღვრული შესაბამისი ინვენტარითა და მატერიალური რესურსებით. კერძოდ, დაწესებულებას აქვს უსაფრთხოების მოდულთან დაკავშირებით საჭირო ინვენტარი, რაც მოიცავს პირველადი დახმარების სამედიცინინო ოთახს თავისი აღჭურვილობით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინვენტარს, ხანძრთან ბრძოლის წვრთნებთან დაკავშირებულ აღჭურვილობებს.

პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება A და B ტიპის სასწავლო გარემოს გათვლების შედეგად მიღებულ რაოდენობათა შორის უმცირესი მაჩვენებლის საფუძველზე, ხოლო ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დამატებით გათვალისწინებულია C ტიპის სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა და შესაბამისი ფართი.

ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს მინიმუმ ერთ პროფესიულ მასწავლებელს ყოველ 20 პროფესიულ სტუდენტზე, რაც ქმნის სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელების სათანადო პირობებს და პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანენე განყოფილების ექსპლუატაცია" იძლევა 50 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას ორი მიღების ფარგლებში, თითოეული მიღებისას არა უმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული რაოდენობა დასაბუთებულია სასწავლებლის ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების ანალიზზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი (დანართი №14 – „მატერიალური რესურსი“), რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდულის მიხედვით. აღნიშნული რესურსები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო პირობებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის.

დაწესებულებას გააჩნია ხანძართან ბრძოლის სიმულაციური ტრენაჟორი რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სახანძრო სისტემით: ქაფის, წყლის, ტრენაჟორზე შესაძლებელია სიმულაციური ხანძრის ინსცენირება თავისი დაკვამლიანებით. დაწესებულებას აქვს სამედიცინო ოთახი აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, პიველადი დახმარების ინსცენირებისათვის საჭირო მულაჟითა და მანეკენით, სასუნთქი აპარატით, ნემსის გაკეთების შესწავლისთვის საჭირო მულაჟით. ასევე დაწესებულების მფლობელობაშია პირადი გადარჩენის მეთოდებისთვის საჭირო ინვენტარი, უსაფრთხოების ჯილეტეტი, ჰიდროკოსტიუმები, სამაშველო ტივი და კანჯო, რომელიც განთავსებულია დაწესებულების აუზზე თავისი ჩასაშვები მექანიზმებით. აუზზე მოწყობილია წყალში ხტომის პლატფორმა, აუზი აღჭურვილია სცადასხვა სპეციფექტებით რაც იძლევა რეალური გარემოს აღქმის შესაძლებლობას

დაწესებულებაში არსებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები და პრაქტიკული საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ეფექტიან განვითარებას. რესურსების ადეკვატურობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება აკადემიის წესდებითა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01“, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულების რექტორი. მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით. „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანება 2026 წლის 29 მაისის №07-52 (ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით), პროგრამა ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის მუშაობის პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება რეგულაციებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის -„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ (Ship engine room Operation) შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.
პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ელექტრომოწყობილობების, ელექტრონული აპარატურის, მართვის სისტემების, ტექნიკური მომსახურეობა და შეკეთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. გემზე მყოფ ადამიანებზე ზრუნვა
3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენა
4. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძართან ბრძოლა
5. გარემოს დაბინძურების პრევენცია
7, სამანქანე განყოფილებაში ვახტაში მონაწილეობა
8 სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01“ შესაბამისად. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ შემუშავებულია „მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი“. კანონით დადგენილი და აკადემიის შიდა რეგულაციით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაწესებულება იწყებს მუშაობას ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე. აკადემიაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება რექტორის ბრძანების შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატორი/მისი წარმომადგენელი/წარმომადგენლები; ცენტრის ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილე საჭიროებიდან გამომდინარე თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად განსაზღვრული სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი; დამსაქმებლ(ებ)ი (საჭიროებისამებრ); პროგრამის განხორციელებაში ჩართული სუბიექტ(ებ)ი (დუალური ან/და კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში) წარმომადგენლ(ებ)ი; ბიბლიოთეკის წარმომადგენელი; საზღვაო აკადემიის ფინანსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი; ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის წარმომადგენელი; პროფესიული განათლების მასწავლებელი შესაბამისი მიმართულებით; კურსდამთავრებულ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში); საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფი უფლებამოსილია დამატებით მოიწვიოს დარგის ექსპერტ(ებ)ი; ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი; სფეროს მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი/ წარმომადგენლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); აკადემიის დამხმარე სტრუქტურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეულების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის რექტორს და მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - რექტორის ბრძანებით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2" და „ქართული ენა" B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია" (სარეგისტრაციო ნომერი 10.16.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და პროგრამის მოცულობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი დოკუმენტი, მათ შორის: მოდულები, სასწავლო გეგმა, ასევე ინფორმაცია პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი მოდულები, შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, სრულად ადაპტირებულია და უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტების განხორციელებას, აგრეთვე ქართული ენის მოდულს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევასა.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი.
- „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი ND 2-O19-01“- დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 28 მაისის № 01-109 ბრძანებით
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიურება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 50 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში 25 პროფესიული სტუდენტი), წელიწადში ერთი მიღების ფარგლებში მიიღებს 25 სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი სასწავლო და პრაქტიკული გარემოები:

ერთი A ტიპის სასწავლო გარემო, მათ შორის:

- პირველი A გარემო გათვლილია 25 პროფესიულ სტუდენტზე;
- ერთი B გარემო გათვლილი 25 პროფესიულ სტუდენტზე.

A გარემო აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერითა და ციფრული დემონსტრირების საშუალებებით.

ორივე ტიპის სასწავლო გარემო მხოლოდ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისთვის გამოიყენება. აღნიშნული გარემოები თითოეული აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით (სტუდენტების მაგიდები და სკამები, დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ციფრული დემონსტრირების საშუალებები).

B ტიპის გარემო აღჭურვილია 25 პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო ინვენტარით - სტუდენტების მაგიდები და სკამები, დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი, ინტერნეტთან დაკავშირებული 25 კომპიუტერი და ციფრული დემონსტრირების საშუალებები.

ერთი AC ტიპის გარემო, გათვლილი 25 პროფესიული სტუდენტისათვის.

ერთი სამედიცინო კაბინეტი, გათვლილი 25 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც აღჭურვილი შესაბამისი სამედიცინო მულაჟებითა და მანეკენებით მასზე პრაქტიკული წვრთნების გავლისა და დემონსტრირებისათვის.

დაწესებულებას წყალში ხტომის პრაქტიკული მეცადინეობისათვის თავის კუთვნილ აუზზე მოწყობილი აქვს შესაბამისი ინვენტარი. რომელიც იძლევა სხვადასხვა რეალური ეფექტების შექმნის შესაძლებლობას, როგორიცაა წვიმა, ქარი, ნისლი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ხანძართან ბრძოლის პრაქტიკული წვრთნის გარემო“ (C ტიპის გარემო) აღჭურვილია პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული სახანძრო ტრენაჟორი წარმოადგენს გემის მოდელის ტრენაჟორს აღჭურვილი შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, როგორიცაა ქაფის სისტემა, წყლის სისტემა, გააჩნია პორტაბელური სხვადასხვა სახის ცეცხლმაქრები, ასევე კვამლისა და სხვადასხვა ტიპის ხანძრის იმიტაციის შესაძლებლობით. აღნიშნული საწვრთნელი აუზი განთავსებულია ბათუმის ლოკაციაზე, თუმცა დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს, აღნიშნულ აუზზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის, უზრუნველყოფს ტრანსპორტით მომსახურეობას,

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის „საზღვაო პრაქტიკის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები 6 კომპანიასთან, რომლებიც ფლობენ შესაბამის გემებს პროფესიული სტუდენტების განთავსებისა და პრაქტიკული დავალებების უზრუველყოფის მიზნით. ხელშეკრულება გაფორმებულია სულ 50 პროფესიული სტუდენტის რაოდენობაზე, სადაც მითითებულია ის კონკრეტული მოდულები, რომლებიც სტუდენტმა უნდა გაიაროს გემზე რეალურ რეჟიმში. პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებისა და პერსონალთან ინტერვიურების საფუძველზე დასტურდება წარმოდგელი ხელშეკრულების ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა. პრაქტიკის ობიექტებზე პერსონალი სრულად იცნობს პრაქტიკით დადგენილ სასწავლო გეგმას და არიან მოტივირებულები ასწავლონ ახალ თაობას.

პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება:

- შპს ტრანსფორდი;
- სვიცერ ჯორჯია
- ეიპიემი;
- ლამნალკო;
- შავიზღვის ტერმინალი (ყულევი);
- შავი ზღვის საზღვაო ხაზები;

დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცხრილები საზღვაო პრაქტიკის კომპონენტის გავლისათვის. დაწესებულება პრაქტკის ობიექტებს გეგმავს წინასწარ და ეფექტურად.

შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას. ხუთდღიანი სასწავლო გრაფიკის ფარგლებში, ორ ცვლიან რეჟიმში, შესაძლებელი ხდება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის - 50 პროფესიული სტუდენტის ორ მიღებაზე მომსახურება.

2.2.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის: 4 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, 7 ზოგადი მოდულების, ხოლო 1 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი.

თითოეული პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას.

2.2.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებიც და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგებიც. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია შეთანხმებები. პროფესიული განათლების დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანება 2026 წლის 29 მაისის №07-52 დამტკიცებულია „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1-ის შესაბამისად და განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით. ცვლილება შეეხო პროგრამას და სასწავლო გეგმას, კერძოდ დაკონკრეტდა პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების პროცედურები. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია შიდა ნორმატიული დოკუმენტით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი” და შრომითი ხელშეკრულებით.

პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო ის არის კვალიფიციური კადრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი დარგობრივი გამოცდილება და პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე დადასტურდა, რომ მას გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო გეგმის შედგენასა და შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

2.2.1.4. სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების დათვალიერება და შეფასება. ვიზიტის შედეგებით დადგინდა, რომ ფოთის ფილიალი ინტეგრირებულია ბათუმში მდებარე ბიბლიოთეკის სისტემაში და უზრუნველყოფილია სრული წვდომით ბიბლიოთეკის მატერიალურ და ელექტრონულ სასწავლო რესურსებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საბიბლიოთეკო ფონდი შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და სასწავლო საჭიროებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვაო მიმართულების მდიდარი და უნიკალური ლიტერატურული ფონდი, რომელიც დაწესებულების მრავალწლიანი საქმიანობის განმავლობაში სისტემატურად არის დაგროვებული, დამუშავებული და აღრიცხული.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საბიბლიოთეკო ფონდის მატერიალური რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო საქმიანობის დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო ელექტრონული რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ პორტალზე და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მონაწილეებისთვის. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ ელექტრონულ სისტემაში, რაც მათ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგსა და სასწავლო რესურსებზე შეუფერხებელი წვდომით.

ამასთან, ელექტრონული კატალოგი და სასწავლო რესურსები ინტეგრირებულია დაწესებულების ვებგვერდთან, რაც დამატებით ზრდის რესურსების ხელმისაწვდომობას. საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვასა და მართვას უზრუნველყოფს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რაც ადასტურებს რესურსების სისტემურ ადმინისტრირებას, განახლებასა და ხელმისაწვდომობის ეფექტიან უზრუნველყოფას.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით. კერძოდ, ფუნქციონირებს ინტერნეტქსელთან დაკავშირებული კომპიუტერები როგორც მკითხველებისთვის, ასევე ბიბლიოთეკარის სამუშაო ადგილისთვის, აგრეთვე მრავალფუნქციური საოფისე მოწყობილობა (ბეჭდვა, სკანირება, ასლის გადაღება). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულად საბიბლიოთეკო პორტალზე, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინფორმირებულობასა და ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურების გამჭვირვალობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საბიბლიოთეკო რესურსები, მათი ორგანიზების სისტემა, ელექტრონული სერვისები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ქმნის სათანადო გარემოს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის და პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს.

2.2.1.5 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება განხორციელდება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რისთვისაც საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსსმ პირებს წვდომა აქვთ ბიბლიოთეკასთან, სასწავლო აუდიტორიებთან, ლაბორატორიებთან და პრაქტიკული სწავლების საამქროებთან, რომელთა უმეტესი წილი განთავსებულია სასწავლო კორპუსების პირველ სართულზე. თუ მასწავლებელი დაადგენს, რომ სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სტანდარტული მიდგომით შექმნილი მოდული არ არის საკმარისი პირობა მის დასაძლევად და სტუდენტს დამატებითი ხელშეწყობა სჭირდება, სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტთან ერთად განიხილავს სტუდენტისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებასა და შესაძლებლობას. ინკლუზიური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის საზღვაო აკადემიის წინარე ხელშეკრულებით მოწვეული ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში. დაწესებულება ინკლუზიური პროფესიული განათლების განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტუდენტი არ ჰყოლია.

2.2.1.6 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მოწვეული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), კომუნალური ხარჯი, მივლინების/კადრების გადამზადების ხარჯები, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 6 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

2.2.1.7 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანება 2026 წლის 29 მაისის №07-52 (ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით). „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი.
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები.
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე.
- გასაუბრება.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ ND 2-F09-01 (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) მიხედვით, აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულების მიერ ასევე შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ND 2-F03-01 (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის № 01-256 ბრძანებით). დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებს შესაბამისი ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დემინგის ციკლის მიხედვით აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის, ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება ეყრდნობა:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის შედეგებს;

ბ) სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებასა და ურთიერთდასწრების შედეგებს;

გ) პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგების ანალიზს, კერძოდ:

გ.ა) სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს;

გ.ბ) სასწავლო გარემოს პროფესიულ სტანდარტთან და მოდულთან შესაბამისობის მონიტორინგს;

გ.გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს;

დ) გარე ფაქტორებს (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით);

შეფასება ხორციელდება პროგრამის განმავლობაში ერთხელ, თუ პროგრამა ორი წლის და მეტი ხანგრძლივობისაა, შეფასება ხორციელდება ყოველი წლის ბოლოს; აკადემიაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრი

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს პროგრამის შეფასების პროცედურებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია მექანიზმი, რომელის მეშვეობითაც ხორციელდება პერიოდული ზედამხედველობა პროგრამის მიმდინარეობაზე. პროცესი ითვალისწინებს მონაცემებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, საუკეთესო პრაქტიკას, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების შემუშავების და მათი გამოყენების მიზანია სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტიანი გამოყენება და მისი განვითარება. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ პროგრამებში არსებული ხარვეზები და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები. პროცესის ეფექტური განხორციელებისათვის ვაწარმოებთ პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვას.

2.3.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს, პარტნიორ ორგანიზაციას და სხვ. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.

2.3.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ ND 2-F09-01 - დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ND 2-F03-01 - დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის № 01-256 ბრძანებით;
- ინტერვიუ;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სასწავლო გეგმა დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანება 2026 წლის 29 მაისის №07-52 (ცვლილება 16.07.2026 წლის №07-83 ბრძანებით). ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე “ცვლილებების შეტანის თაობაზე). პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში“ პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 67 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 97 კრედიტს. პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებასა და მათთვის მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნაზე. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ისარგებლონ განმეორებითი შეფასებისა და სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შესაძლებლობებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობისა და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფას. ადმინისტრაციასთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტების მხარდაჭერა ენობრივი ბარიერის გაუმჯობესება, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის მიმართულებით. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო დანადგარები, სპეციალური აღჭურვილობა და პრაქტიკული სასწავლო გარემო, რაც მათ პროფესიული კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს. შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ცდილობს პროფესიული სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებული სწავლების გზით, მათ შორის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს პროფესიული სტუდენტების მოტივაციას, ხელს უწყობს მათ პროფესიულ ინტეგრაციას და დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტიანობაზე. შეფასების ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულება მოქნილად რეაგირებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე და ქმნის მათი განვითარების ხელშემწყობ გარემოს.

2.4.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემო აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით. არსებული ინფრასტრუქტურა, სასწავლო აღჭურვილობა და პრაქტიკული სწავლების რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. სწავლება აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, ინტერაქტიულ აქტივობებსა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. დარგისთვის დამახასიათებელი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის გამოყენება სტუდენტებს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესში დაეუფლონ იმ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე საზღვაო ინდუსტრიის მოთხოვნებს.

დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობენ პროფესიული განვითარების აქტივობებში, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ისე თავად აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და მასტერკლასებში. აღნიშნული აქტივობები მოიცავს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს, პროფესიულ სიახლეებსა და დარგობრივ განვითარებას, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით, ცნობებითა და ტრენინგებზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს სპეციალიზებულ C ტიპის სასწავლო გარემოში, რომელიც მოიცავს სასწავლო გემს „CAPT. TENGIZ GADILIA“, საწვრთნელ აუზს, ხანძრის ქრობის სიმულატორსა და სამაშველო კანჯოს წყალზე დაშვების ტრენაჟორს. აღნიშნული გარემოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქმნის რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ სასწავლო გარემოს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების სრულფასოვან განვითარებას.

ამასთან, შეფასების პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას ფუნქციონირებს თანამედროვე საწვრთნელი ცენტრი, რომელიც აღჭურვილია გემის სამანქანე განყოფილების სიმულატორით, მაღალი ძაბვის (High Voltage) სიმულატორით, ასევე გემის მთავარი ძრავისა და დამხმარე მექანიზმების რეალური მოდელებით. აღნიშნული ინფრასტრუქტურა იძლევა თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიებისა და საწარმოო პროცესების იმიტირების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ აღნიშნული საწვრთნელი ცენტრის შესაძლებლობებს და, შესაბამისი სასწავლო აქტივობების ფარგლებში, გამოიყენონ სიმულაციური ტექნოლოგიები, რაც დამატებით ამდიდრებს მათ პრაქტიკულ გამოცდილებას და ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას.

შეფასების პროცესში ასევე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამჟამად სრულად ხორციელდება დასწრებითი ფორმით და პროგრამით გათვალისწინებული არცერთი მოდული დისტანციური სწავლების ფორმატით არ მიმდინარეობს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების დანერგვისათვის შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას მოქმედი კანონმდებლობის, პროფესიული განათლების მარეგულირებელი აქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულების განმარტებით, დისტანციური სწავლების ამოქმედების შემთხვევაში წინასწარ შემუშავდება შესაბამისი შიდა რეგულაციები, განისაზღვრება სწავლების ორგანიზების, შეფასების, ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენებისა და პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მხარდაჭერის მექანიზმები, ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება. აღნიშნული ცვლილებების შესახებ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით აცნობებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის არსებული სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, პრაქტიკული სწავლების ინფრასტრუქტურა და სწავლების ორგანიზების მექანიზმები სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ამჟამად მხოლოდ დასწრებითი ფორმით ხორციელდება, დაწესებულებას გააზრებული აქვს საჭიროების შემთხვევაში დისტანციური სწავლების დანერგვისათვის აუცილებელი ორგანიზაციული და მარეგულირებელი წინაპირობების შექმნის მნიშვნელობა და მზადყოფნას გამოთქვამს შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მექანიზმები, რაც მათთვის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშემწყობ გარემოს ქმნის. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა ვლინდება როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების, ისე შეფასებისა და კონსულტირების პროცესში. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების, მობილობის, აკადემიური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდეს პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების პერიოდში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები პროგრამებზე არ ირიცხებოდნენ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები, პროცედურები და მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ამასთან, სტუდენტებს აქვთ დამატებითი კონსულტაციების მიღებისა და სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა, რაც დამატებით უწყობს ხელს სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

2.4.1.4 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შესწავლის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტებისა და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს მდგრადი და მრავალმხრივი თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და პროფესიული სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, პრაქტიკული სწავლების ორგანიზების წესს, პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, უსაფრთხოების მოთხოვნებს, პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ აქტივობებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები და უშუალოდ გაეცნო მათ ინფრასტრუქტურას, საწარმოო გარემოს, ტექნოლოგიურ პროცესებსა და სტუდენტებისთვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეებს. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ პრაქტიკის ობიექტები ფუნქციონირებენ რეალურ საწარმოო გარემოში, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და შესაბამისი დანადგარებით, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სამუშაო სივრცეები, საჭირო ინსტრუმენტები, აღჭურვილობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და უსაფრთხოების სისტემები.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას. დადგინდა, რომ პრაქტიკის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ეცნობიან შრომის უსაფრთხოების წესებს, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების პროცედურებსა და საწარმოს შიდა რეგულაციებს. პრაქტიკის განმავლობაში მათი საქმიანობა მიმდინარეობს მუდმივი ზედამხედველობის პირობებში, რაც უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხოებას, ისე პრაქტიკული სწავლების ხარისხს.

ხელშეკრულებებისა და ადგილზე განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადასტურდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკის სივრცის უზრუნველყოფით. ისინი აქტიურად მონაწილეობენ პრაქტიკული სწავლების დაგეგმვაში, პროფესიული სტუდენტების სამუშაო პროცესში ინტეგრირებაში, შესაბამისი დავალებების განსაზღვრასა და მათი შესრულების მონიტორინგში. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკის პერიოდში უშუალოდ ასრულებენ პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ აქტივობებს, მონაწილეობენ მიმდინარე საწარმოო პროცესებში, იყენებენ თანამედროვე ტექნიკასა და მოწყობილობებს და რეალურ სამუშაო გარემოში ავითარებენ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ თითოეულ პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი არიან შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ინსტრუქტორები და პრაქტიკის ხელმძღვანელები. მათი კომპეტენცია დასტურდება როგორც პროფესიული გამოცდილებითა და კვალიფიკაციით, ისე შეფასების პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით. ინსტრუქტორები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიღებას, სამუშაო პროცესში ჩართვას, პრაქტიკული დავალებების განაწილებას, კონსულტირებას, პროგრესის შეფასებასა და უკუკავშირის მიწოდებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა, საწარმოო პროცესების მოცულობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ინსტრუქტორების რაოდენობა სრულად შეესაბამება პროგრამებით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტს. პრაქტიკის ორგანიზება უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ და თანაბარ განაწილებას, რის შედეგადაც თითოეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩაერთოს პრაქტიკულ საქმიანობაში და შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული ყველა ძირითადი პრაქტიკული დავალება.

პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის თანამშრომლობა სისტემურ ხასიათს ატარებს. მხარეები რეგულარულად აფასებენ პრაქტიკული სწავლების პროცესს, განიხილავენ პროფესიული სტუდენტების მიღწევებს, ერთმანეთს უზიარებენ რეკომენდაციებს პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი კიდევ უფრო მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პარტნიორი ორგანიზაციები გამოხატავენ მზადყოფნას, მომავალშიც აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროფესიული პროგრამების განვითარებაში და ხელი შეუწყონ კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პრაქტიკის ობიექტები სრულად აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. მათი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სამუშაო გარემო, უსაფრთხოების პირობები, ინსტრუქტორთა კვალიფიკაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები ქმნის სათანადო პირობებს პროგრამებით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიანად განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ რეალურ სამუშაო გარემოში შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების დაუფლებისათვის.

2.4.1.5 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით. უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს და მოიცავს როგორც აკადემიის/ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ბაზაზე მიმდინარე პრაქტიკულ სწავლებას, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას. ადგილზე დათვალიერებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამების განხორციელებისთვის გამოყენებული ლაბორატორიები, სახელოსნოები, სასწავლო-საწვრთნელი სივრცეები, ტექნიკური აღჭურვილობა და პრაქტიკული სწავლების გარემო შეესაბამება შესაბამისი პროგრამების მოთხოვნებს. სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია უსაფრთხო მუშაობისთვის აუცილებელი პირობები, მათ შორის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, უსაფრთხოების ინსტრუქციები და სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის საჭირო რესურსები.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესის დაწყებამდე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების წინ გადიან უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს და ეცნობიან შრომის უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებს. ამასთან, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რაც დამატებით ამყარებს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს პრაქტიკის მიმდინარეობის პერიოდში. პროგრამების ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უსაფრთხოების საკითხები სისტემატურად კონტროლდება როგორც დაწესებულების, ისე პრაქტიკის ობიექტების დონეზე. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს პროფესიულ რისკებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული აქტივობების უსაფრთხო გარემოში განხორციელებას.

2.4.1.6 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 29 მაისის №05-65 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ (ცვლილება 2026 წლის 15 ივლისის№07-85 ბრძანებით (სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 29 მაისის No05-65 ბრძანებაში „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე).
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- გასაუბრება.
- ვიზუალური დათვალიერება.
- სასწავლო გეგმა დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 15 ივლისის ბრძანებით №07-85 (სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელ მწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 29 მაისის No05-65 ბრძანებაში „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაო ბაზე “ცვლილებების შეტანის თაობაზე).

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში მოქმედებს პროფესიული სტუდენტის შეფასების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს შეფასების დაგეგმვის, განხორციელების, სწავლის შედეგების დადასტურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის, ვერიფიკაციისა და გასაჩივრების პროცედურებს. აღნიშნული წესი ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების განხორციელების ერთიან ჩარჩოს და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულ, სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე წარმართვას.

პროგრამებისა და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების სისტემა ეფუძნება სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას. თითოეულ პროგრამაში სწავლის შედეგები წარმოდგენილია შესაბამისი ცოდნისა და უნარების კომპონენტებით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების სწავლის შედეგებთან პირდაპირ კავშირს. შესაბამისად, შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შემოწმებაზე, არამედ პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების შეფასებაზე, რაც შეფასების სისტემის ვალიდურობის საფუძველს ქმნის. შეფასების წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების შედეგების ვერიფიკაციის პროცედურები. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის შემოწმებას სწავლის შედეგებთან და ამცირებს სუბიექტური შეფასების რისკებს, არსებული პროცედურები ქმნის შეფასების შედეგების სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის სათანადო საფუძველს. ასევე დადგენილია, რომ პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია შეფასების ფორმების, კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში დამატებით ორჯერ ეძლევათ სწავლის შედეგის დადასტურების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შეფასების პროცესის სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, გამოიყენება ერთგვაროვანი მიდგომები და პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ შესაბამისი უკუკავშირი. აღნიშნული პრაქტიკა დამატებით აძლიერებს შეფასების პროცესის ობიექტურობასა და თანმიმდევრულობას.

2.4.2.1 სტანდარტი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიასა და ფოთის ფილიალში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობის, სანდოობისა და თანმიმდევრულობის შემოწმებას. ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობის დადგენას პროგრამებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმებთან და მოქმედ რეგულაციებთან. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების გადამოწმებას. აღნიშნული მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს, რამდენად ადეკვატურად აფასებს გამოყენებული ინსტრუმენტი პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს, რამდენად თანმიმდევრულად ხორციელდება შეფასება და რამდენად დასაბუთებულია მიღებული შეფასების შედეგები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურები, შედეგების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები. ვერიფიკაციის შედეგები გამოიყენება შეფასების პრაქტიკის, სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ვერიფიკაციის პროცესი წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს და ხელს უწყობს შეფასების შედეგების ობიექტურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. შეფასების ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ხარისხის კონტროლსა და უწყვეტ განვითარებას.

2.4.2.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი არეგულირებს შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, მონაცემებისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ შეფასების პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია სისტემურად აღირიცხება და ინახება დადგენილი წესის შესაბამისად. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის სათანადო ადმინისტრირებას. დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მიკვლევადობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, რაც მნიშვნელოვანია როგორც შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, ასევე პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამასთან, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გადამოწმების, მონიტორინგისა და საჭიროების შემთხვევაში შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას.

4.2.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პროცესში დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, არამედ მათი შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.

პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში მიღებული შედეგები და უკუკავშირი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სტუდენტთა ინდივიდუალური პროგრესის მონიტორინგისთვის. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გააცნობიერონ საკუთარი ძლიერი მხარეები, გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებები და განსაზღვრონ შემდგომი განვითარების საჭიროებები.

დაწესებულება შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სტუდენტთა დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს კონკრეტულ სწავლის შედეგს, მას ეძლევა განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა დადგენილი პროცედურების შესაბამისად. განმეორებითი შეფასება ხელს უწყობს სტუდენტის მიერ საჭირო ცოდნისა და უნარების დამატებით განმტკიცებას, სწავლის შედეგების მიღწევასა და პროფესიული კომპეტენციების სრულფასოვან განვითარებას.

ამასთან, შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაგეგმონ შესაბამისი სასწავლო მხარდაჭერის ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ადაპტირება.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში ჩამოყალიბებული შეფასების პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ეფექტიან გამოყენებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების, სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და პროფესიული კომპეტენციების შემდგომი გაძლიერების მიზნით.

2.4.2.4 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2026 წლის 30 მარტის №01-66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“ (ND 2-F03-03);
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის №01-256 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - შეფასების სისტემის ვერიფიკაცია“ (ND 2-F03-01),
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

07.08.2026 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: